მანანა სანაძე

შესავალი მსოფლიო ისტორიაში

II წიგნი

მეორე გამოცემა

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი
2015

სახელმძღვანელოს შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარული სკოლის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელისა და საქართველოს უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორის სამეცნიერო დარგში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ თამაზ ბერაძის ღვაწლი.

ცალკეული მონაკვეთების დამუშავებაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლალი ფირცხალავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეა ქარჩავა, ანთროპოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თინათინ ღუდუშაური. მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა ისტორიის დეპარტამენტის პროფესორმა თამარ ქორიძემ.

დაიბეჭდა საქართველოში.

საავტორო უფლებები დაცულია.

მანანა სანაძე © საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა 2015

რედაქტორები:

ცირა ჩიკვაიძე
კონსტანტინე თოფურია
ლალი ფირცხალავა

ISBN 978-99940-50-19-2

საქართველო, თბილისი, 0175,
მ. კოსტავას 77ა.
ელ. ფოსტა: ug@ug.edu.ge

სარჩევი

წიგნი II — ისტორია

ნაკვეთი I — მსოფლიო ანტიკურ ხანაში

I თავი. მსოფლიო ადრეანტიკურ ხანაში 4

§ 1. კაცობრიობა პრეისტორიულ ხანაში 7

§ 2. ისტორიის ადრეანტიკური პერიოდი 20

II თავი. მსოფლიო გვიან ანტიკურ ხანაში — გლობალური იმპერიების ეპოქა 54

III თავი. გლობალური იმპერიების ეპოქა — რომის იმპერია და დანარჩენი სამყარო 78

ნაკვეთი II — შუა საუკუნეები

IV თავი. ხალხთა დიდი გადასახლება და მსოფლიოში ძალთა ახალი გადანაწილება (ადრე შუა საუკუნეები — ნატურალური თვითკმარი ეკონომიკის ხანა) 108

§ 1. ხალხთა დიდი გადასახლება და მსოფლიოში ძალთა ახალი გადანაწილება 111

§ 2. ადრე შუა საუკუნეები — ნატურალურ-თვითკმარი ეკონომიკის ხანა 128

V თავი. განვითარებული შუა საუკუნეები — მსოფლიო X-XIII საუკუნეებში 134

VI თავი. გვიანი შუა საუკუნეები (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები — მსოფლიოს გამთლიანების დასაწყისი). 176

§ 1. გვიანი შუა საუკუნეები 179

§ 2. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები — მსოფლიოს გამთლიანების დასაწყისი 197

ნაკვეთი III. მსოფლიო შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის გასაყარზე

VII თავი. ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისი 214

§ 1. ფეოდალიზმის დაშლა და კოლონიური იმპერიების ჩამოყალიბება 217

§ 2. რეფორმაცია ევროპაში და ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისი 229

ნაკვეთი IV. მსოფლიო ახალი ისტორიის პერიოდში

VIII თავი. პირველი ბურჟუაზიული რევოლუციები და ევროპული ომები 238

§ 1. თანამედროვე ინდუსტრიის გარიჟრაჟი 241

§ 2. ევროპა XVI-XVIII საუკუნეებში. 247

§ 3. „დასავლეთი“ და „აღმოსავლეთი“ ინდოეთი 277

§ 4. საფრანგეთის დიდი რევოლუცია 281

IX თავი. მსოფლიო 1815-1870 წლებში 294

§ 1. ეპოქის მოკლე დახასიათება 297

§ 2. ევროპა და ამერიკა 1815-1870 წლებში 311

ნაკვეთი V. მსოფლიო უახლესი ისტორიის პერიოდში

X თავი. მსოფლიო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში 344

§ 1. ეკონომიკის განვითარების ძირითადი მახასიათებლები 347

§ 2. მსოფლიო I მსოფლიო ომის წინ 354

XI თავი. პირველი მსოფლიო ომი 362

§ 1. I მსოფლიო ომი 365

§ 2. კაცობრიობა I მსოფლიო ომის შემდეგ (1919-1932) 375

XII თავი. მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები. 404

§ 1. მეორე მსოფლიო ომის წანამძღვრები, მსვლელობა და შედეგები 407

§ 2. მსოფლიო ეკონომიკის აღდგენა. ომის შემდგომი ეკონომიკის დაგეგმარება 417

§ 3. კომუნისტური სამყაროს გაფართოება, იმპერიების დაშლის, ანუ დეკოლონიზაციის პროცესის დასაწყისი 420

ნაკვეთი VI. მსოფლიო თანამედროვე პერიოდში

XIII თავი. კაცობრიობა II მსოფლიო ომის შემდეგ 430

§ 1. „ცივი ომი“, სოციალისტური ბანაკისა და საბჭოთა კავშირის დაშლა 433

§ 2. მსოფლიო 1990-2010 წლებში, მსოფლიო პროცესები და ტენდენციები. 438

დანართები

რუკა — რომი ქრ.შ-მდე 500-ქრ.შ-დან 150 470

რუკა — რომის იმპერია 395 წელს 471

რუკა — ქრისტიანობის გავრცელება 472

რუკა — I მსოფლიო ომი 473

რუკა — გერმანია ვერსალის შემდეგ 474

რუკა — II მსოფლიო ომი, ევროპა, 1943-1945 475

რუკა — ოთხ საუკუპაციო ზონად გაყოფილი გერმანია, 1947 476

რუკა — ოთხ საუკუპაციო ზონად გაყოფილი ბერლინი 477

თავი I

1,8-1,7 მლნ. წ.

აფრიკის გარეთ მსოფლიოში უძველესი ადამიანი დმანისში (თბილისიდან 85 კმ.) აღმოჩნდა. დმანისელი ადამიანი HOMO Erectus-ის ჯგუფს განეკუთვნება. დმანისი პირველი ევროპელის სამშობლოა.

ძვ.წ. 2600

ძველინდური ქალაქის ჰარაპას - უძველესი ინდური ცივილიზაციის ერთ-ერთი ცენტრის - ნანგრევები.

2 მლნ. წ.

ძვ.წ. 2700

ძვ.წ. 1274

კადეშის ბრძოლა ეგვიპტისა და ქეთების იმპერიებს შორის. ეგვიპტის ჯარს ხელმძღვანელობდა რამზეს II, ხოლო ქეთების ჯარს — მუვათალი II. ეს იყო ყველაზე დიდი ეტლების ბრძოლა, რომელშიც დაახლოებით, 5,000-6,000 ეტლი მონაწილეობდა.

ძვ.წ. 1100

შანის დინასტიის (ჩინეთი) ბრინჯაოს მსხვერპშესაწირი - დღეისათვის მსოფლიოში ანტიკური პერიოდიდან შემორჩენილი ყველაზე მასიური ბრინჯაოს საგანი: იწონის 832.84 კგ-ს, სიმაღლე - 133 სმ., სიგანე - 110 სმ.

მოგეთხოვებათ შემდეგი ცნებების, ტერმინების, სახელების და თარიღების ცოდნა

პალეოლითი	იერიქონი	ამენხოტეპ IV/	დაახლ. ძვ. წ. XXX ს. - ფარაონმა
მეზოლითი	მემფისი	ეხნატონი	მენესმა გააერთიანა ზემო და ქვემო
ნეოლითი	ურუქი	ნეფერტიტი	ეგვიპტე
ენეოლითი	ური	რამსეს II	ძვ. წ. 722 -ძვ. წ.705- ასურეთის
მატრიარქატი	ლაგაში	გილგამეში	ძლიერების მწვერვალი სარგონ II-ის
პატრიარქატი	აქადი	სარგონი	მმართველობის დროს
ნეოლითური	ბაბილონი	ნაბუქოდონოსორ II	ძვ.წ. 2950 - უძველესი ჩინური
რევოლუცია	ასურეთი	კროისოსი	სახელმწიფოს ჩამოყალიბება
მტკვარ-არაქსის	ქეთები/ხეთები	საული	ძვ. წ. XVI — ძვ. წ. XI სს. - მიკენური
კულტურა	ფრიგიულ-	დავითი	ცივილიზაციის ხანა
სახმელეთო/დიდ	მუშქური სამეფო	სოლომონი	ძვ. წ. VIII — ძვ. წ. V სს. - ძველი
მდინარეთა	ლიდია		ბერძნული კოლონიზაცია
ცივილიზაცია	ქანაანი		
მესაქონლურ-	ისრაელი		
მომთაბარული	იუდეა		
ცივილიზაცია	იერუსალიმი		
საზღვაო/სავაჭრო	ურარტუ		
ცივილიზაცია	ტუშპა		
პოლისი	დიაოხი		
ხეოფსის პირამიდა	კრეტა		
რა	კნოსოსი		
ოსირისი	მიკენე		
სეთი	ტროა		
შუმერები	ფინიკია		
ზიკურათი	კართაგენი		
კასტა			
ელინები			
დიდი ბერძნული			
კოლონიზაცია			
კიმირიელები			
სკვითები			

მასალის კითხვისას მოახდინეთ ფოკუსირება შემდეგ საკვანძო საკითხებზე:

1. რომელმა ტექნოლოგიური ძვრებმა გამოიწვიეს ქვის ხანის ბრინჯაოს ხანით და ბრინჯაოს ხანის - რკინის ხანით ჩანაცვლება და რას ნიშნავს *ნეოლითური რევოლუცია* ?
2. სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების კუთხით რა ცვლილებები მოხდა კაცობრიობის ისტორიის ადრეანტიკურ ხანაში პრეისტორიული ხანასთან შედარებით და რამ გამოიწვია ეს?
3. ძველი ისტორიის რომელი მოვლენები შეიძლება განვიხილოთ ძველ აღმოსავლეთზე დასავლეთის ცივილიზაციის უპირატესობის დასადასტურებლად?
4. რა განსხვავებაა ერთი მხრივ -სკვითებისა და კიმირიელების და მეორე მხრივ - ეგვიპტე-შუამდინარეთსა და კრეტა-მიკენის ეკონომიკურ-პოლიტიკურ მოდელებს შორის?
5. რა მსგავსება და განსხვავება იყო ერთი მხრივ - ჩინურ-ინდურ და მეორე მხრივ - ძველ ბერძნულ და ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებებს შორის?
6. ქრონოლოგიურად დაასახელეთ ვის, რომელ ქვეყნებს ჰქონდათ პოლიტიკური უპირატესობა ძველ აღმოსავლეთში?

წიგნი II —ისტორია

ნაკვეთი I — მსოფლიო ანტიკურ ხანაში

მსოფლიო ადრეანტიკურ ხანაში

 თავი I

სარჩევი:

§ 1. კაცობრიობა პრეისტორიულ ხანაში 7
§ 2. ისტორიის ადრეანტიკური პერიოდი 20

§ 1. კაცობრიობა პრეისტორიულ ხანაში

ქვის ხანა. საქართველოში, დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის გათხრებისას არქეოლოგებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ძალიან დიდი ხნის წინ ამ მიდამოებში უძველესი ადამიანი ცხოვრობდა. მართლაც, XX სის ბოლოს წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უძველესი ადამიანის ქვის იარაღები აღმოაჩინა. მას შემდეგ ძველი ადამიანის ნაკვალევის ძებნას დმანისის მიდამოებში გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა, რასაც ახალი და მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოჰყვა. არქეოლოგებმა ჯერ უძველესი ადამიანის ქვედა ყბა იპოვეს, შემდეგ მისი ტერფის ძვალი. განსაკუთრებით სენსაციური XX საუკუნის მიწურულს, უძველესი ადამიანის ორი თავის ქალას აღმოჩენა იყო. ამჟამად უკვე ხუთი თავის ქალაა გამოვლენილი.

დღეისათვის ითვლება, რომ უძველესი ადამიანი აფრიკის კონტინენტზე დაახლოებით 4 მილიონი წლის წინათ გაჩნდა. მიჩნეულია, აგრეთვე, რომ ის ევრაზიაში ბევრად უფრო გვიან განსახლდა. აქამდე ევროპაში უძველესი ადამიანის ყველაზე ადრეული ნაშთები 800 ათასი წლით თარიღდებოდა. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ინტერესი და განცვიფრება გამოიწვია დმანისელი ადამიანის აღმოჩენამ, რომელიც, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, მილიონ 700-800 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ამით ხომ ევრაზიაში ადამიანის განსახლება, სულ ცოტა, ორჯერ დაძველდა.

ყოველივე ამის გამო ევრაზიის უძველესი *დმანისელი ადამიანის* და მისი ნამოსახლარის მიკვლევა ბოლო წლების მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიურ აღმოჩენად მიიჩნევა.

დმანისელი ადამიანი დღეისათვის ევრაზიის კონტინენტზე აღმოჩენილი უძველესი ადამიანია. ფიქრობენ, რომ ევრაზიაში თავდაპირველად სწორედ დმანისელი ადამიანი განსახლდა. კვლევაში პალეოანთროპოლოგებიც ჩაერთვნენ. დმანი-

დმანისელი ადამიანი. ქართველმა არქეოლოგებმა 1999 წლის ზაფხულში ძველი ადამიანის ორი თავის ქალა აღმოაჩინეს. რომელსაც შემდგომში პირობითად „მზია და ზეზვა“ უწოდეს. ახლა უკვე ხუთი თავის ქალაა გამოვლენილი.

დმანისის არქეოლოგიური გათხრები , 2007

მზია და ზეზვა
(რეკონსტრუქცია)

Homo Erectus ჰომო ერექტუსი. ლათინური სიტყვაა და გამართულ ადამიანს ნიშნავს.

Homo Sapiens Sapiens — ლათინური სიტყვაა და გონიერ-გონიერ ადამიანს ნიშნავს. ასე უწოდებენ მეცნიერები თანამედროვე ადამიანის სახეობას.

ჯონ ლებოკი
1834 -1913
ქვის ხანის პალეოლითად და ნეოლითად დაყოფა 1865 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა და ბიოლოგმა ჯ. ლებოკმა დაამკვიდრა.

ლითოს — ბერძნულად ქვას,
პალეოს — ძველ,
მეზოს — შუას,
ნეოს — ახალს ნიშნავს.

პალეოლითის ეტაპები. ქვედა პალეოლითის ყველაზე ადრეულ საფეხურად ოლდუვაის კულტურაა მიჩნეული. ეს სახელი მას ცენტრალური აფრიკის მდ. ოლდუვაის ხეობის მიხედვით ეწოდა, სადაც ქვედა პალეოლითელი ადამიანის ყველაზე ადრეული სადგომი აღმოჩნდა.

პალეოლითის დანარჩენი ეტაპები არქეოლოგებმა პირველად საფრანგეთში გათხარეს. აღმოჩენის ადგილების მიხედვით ამ პალეოლითურ კულტურებს: შელი, აშელი, მუსტიე, ორინიაკი, სოლუტრე და მადლენი ეწოდებათ.

სელი ადამიანის ნაშთის შესწავლის შედეგად, გაირკვა, რომ ის ჰომინიდების, ანუ ადამიანისებრთა ოჯახის **Homo Erectus**-ის სახეობას შეესაბამება.

დმანისელი **Homo Erectus**-ი **Homo Sapiens Sapiens**-ის, ანუ *თანამედროვე გონიერი ადამიანის* შორეული წინაპარია. დმანისელი ადამიანების კვების რაციონი, შეიძლება ითქვას, უნივერსალური იყო: ბოლქვების, კენკრის, თხილის, მწერების, თევზების, მოლუსკების, ნანადირევი ხორცისა და ლეშის ჩათვლითაც კი. უშუალოდ ბუნებისაგან ნაბოძებ, თუ მცირე სახეცვლილებით შექმნილ იარაღს ადამიანის ხელთან შედარებით უფრო სრულყოფილი ხელსაწყოს ფუნქცია ეკისრებოდა და ძირითადად, საჭრელად თუ სამტვრევად გამოიყენებოდა.

მომდევნო ათასწლეულებში ძალზე ნელი ტემპით მიმდინარე ბიოლოგიურ ევოლუციას, რომელიც ადამიანისებრთა მოდგმამ Homo Erectus-იდან Homo Sapiens Sapiens-ამდე განვლო, ასევე ნელი, მაგრამ განუხრელი სოციალური და ტექნოლოგიური განვითარება სდევდა თან: აქამდე სამტვრევად გამოყენებული ქვები გალესეს და ბოლოები წაუმახვილეს; გრძელი ჯოხები გათალეს, დაამუშავეს და შუბი მიიღეს.

ქვის ხანა ყველაზე ხანგრძლივი ხანაა კაცობრიობის ისტორიაში. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ვიტყვით, რომ მისი დასასრული ძვ. წ. VI ათასწლეულით თარიღდება. დროის ასეთ ხანგრძლივ პერიოდში ადამიანთა საზოგადოება თავის ირგვლივ სამყაროს შესახებ, თუმცა ძალზე ნელა, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო მეტ ცოდნას აგროვებდა და გარე სამყაროსთან უკეთ მოსარგებად საკუთარ უნარ-ჩვევებს მუდმივად ავითარებდა. ყოველივე ეს, უპირველეს ყოვლისა, ქვის იარაღის დამზადების ტექნიკისა და ხარისხის გაუმჯობესებაში აისახებოდა. თუ ქვის ხანის ადრეულ საფეხურზე ქვის იარაღი იმდენად უხეშად იყო დამუშავებული, რომ მისი გარჩევა ბუნებრივი ქვისაგან ხშირად მხოლოდ არქეოლოგის გამოცდილ თვალს შეუძლია, ქვის ხანის ბოლო პერიოდის საბრძოლო თუ შრომით იარაღს თავისი დახვეწილობით განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. ამიტომაა, რომ არქეოლოგები ქვის ხანას ძირითადად ქვის დამუშავების ტექნიკის მიხედვით სამ დიდ ქვეპერიოდად: ძველი ქვის ხანად ანუ **პალეოლითად**, შუა ქვის ხანად — *მეზოლითად* და ახალ ქვის ხანად — *ნეოლითად* ყოფენ.

პალეოლითი, ანუ ძველი ქვის ხანა, თავის მხრივ ქვედა, შუა და ზედა, იგივე გვიან პალეოლითად იყოფა, რომელთაგან თითოეული ადამიანის განვითარების კიდევ რამდენიმე ეტაპს მოიცავს ამ ეტაპებს სახელები იმ ადგილების მიხედვით შეარქვეს, სადაც ისინი პირველად აღმოჩნდა. დმანისელი ადამიანი ქვედა პალეოლითის ყველაზე ადრეულ საფეხურზე ცხოვრობდა. ქვედა პალეოლითის ადამიანი თავისი იერით და ცხოვრების წესით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა *თანამედროვე გონიერი ადამიანისაგან.* ის პირველყოფილ ჯოგად ცხოვრობდა. აგროვებდა მცენარეთა ნაყოფს და ძირხვენების ძირებს, ნადირობდა, ზოგჯერ თევზაობდა კიდეც. მეურნეობის სახეობის მიხედვით, რომელსაც ის მისდევდა, იმ ხანის ადამიანს ველურ, ან პირველყოფილ მონადირესა და შემგროვებელსაც უწოდებენ.

თანდათანობით ადამიანებმა ცეცხლის შენახვა და ხელოვნური გზით მიღება ისწავლეს. ცეცხლის დამორჩილება

იმდენად დიდი და შთამბეჭდავი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომ ეს ფაქტი მრავალი ხალხის თქმულებებსა და ლეგენდებში აისახა. ამ მითებს შორის ყველაზე ცნობილი პრომეთეს შესახებ ძველბერძნული თქმულებაა.

120-100 ათასი წლის წინათ ჰომო საპიენსი, ანუ *თანამედროვე გონიერი ადამიანის* უშუალო წინაპარი *გონიერი ადამიანი* გაჩნდა.

იმ ხანის ადამიანები შრომისა და ბრძოლის იარაღების შესაქმნელად უპირატესობას ისეთ განსაკუთრებით მტკიცე მასალას: კაჟის ქვასა და **ობსიდიანს** ანიჭებდნენ. შემდგომ მათ ძვალი და რქა დაემატა. ამგვარმა ტექნოლოგიურმა ევოლუციამ მხოლოდ ბოლო 50000 წლის წინ აკრიფა ტემპი.

მართლაც, დაახლოებით 40 ათასი წლის წინათ **კრომანიონელი**, ანუ *თანამედროვე გონიერი ადამიანი* გაჩნდა. მას მეცნიერები ჰომო საპიენს საპიენსადაც მოიხსენიებენ. თავისი იერით და გონებრივი შესაძლებლობით კრომანიონელი ჩვენგან არაფრით განსხვავდებოდა. კრომანიონელი თანდათან მთელ დედამიწაზე განსახლდა. ბიოლოგებმა თანამედროვე ადამიანის გენების შესწავლით, დაადგინეს, რომ თავდაპირველი ჰომო საპიენს-საპიენსის პოპულაცია სულ რამდენიმე წყვილს მოიცავდა და თანამედროვე კაცობრიობა მათი შთამომავლობაა.

ზედა პალეოლითი 40-35 ათასი წლის წინათ დაიწყო. მისი დადგომა დაემთხვა დედამიწაზე ერთ-ერთ ძლიერ გამყინვარებას, როდესაც მუდმივი თოვლის და ყინულის საფარი ზღვის დონიდან ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეშვა. ადამიანებმაც გამოქვაბულებს მიაშურეს, საიდანაც ხშირად ძლიერი მტაცებელი ცხოველების გამოძევება ბრძოლით უხდებოდათ. გამყინვარების გადატანა ადამიანებს, ბუნებრივია, ცეცხლის დაუფლებამ გაუადვილა.

ზედა პალეოლითის ადამიანებმა ტექნოლოგიური და ასევე, სოციალური განვითარების შედარებით მაღალ საფეხურს მიაღწიეს. იქმნება სხვადასხვა ტიპის მახვილი თუ ბლაგვი ქვის იარაღი — დანა, ხერხი და სხვ; ნიჟარები, ძვალი და რქა თევზის საჭერად, კაუჭისა და **ოროლების** გასაკეთებლად იხმარება.

ზედა პალეოლითის ადამიანი საკვების ძიებაში, ძირითა-დად, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა, როგორც წესი, მიგრაცია შედარებით მცირე გეოგრაფიული არეალის შიგნით ხდებოდა და გარკვეული დროის შემდეგ ის სარიტუალო ადგილს (მაგ. წმინდა ტყეს ან გამოქვაბულს) კვლავაც უბრუნდებოდა. სხვადასხვა ტომს შორის კავშირი, სავარაუდოდ, იშვიათი იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების და სიახლეების გავრცელებისათვის შეეშალა ხელი. ნათესაობისა და ქორწინების საერთო წესები დამკვიდრდა, ბევრგან სისხლის აღრევაც აიკრძალა.

ზედა პალეოლითის *ადამიანი* უკვე გვაროვნულ თემად ცხოვრობდა. რადგანაც ქვის ხანაში გვარი მატრიარქალური იყო, გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ კაცები მიდიოდნენ და სხვა ტომის ქალებთან მკვიდრდებოდნენ.

ამ ხანის ადამიანს უკვე პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენები, ანუ უმარტივესი რელიგია ჰქონდა. მათ მეცნიერები, როგორც ვიცით, ანიმიზმს, ტოტემიზმს, ფეტიშიზმს, მაგიას უწოდებენ.

ობსიდიანი - ვულკანური ქანი - მუქი ფერის მინა.

კრომანიონელი ადამიანი Homo Sapiens Sapiens-ს მისი პირველი აღმოჩენის ადგილის, კრომანიონის (საფრანგეთში) მიხედვით ეწოდა.

კრომანიონელი ადამიანი
(რეკონსტრუქცია).

ოროლი — შუბის მაგვარი ხელით საძგერებელი ან სატყორცნი იარაღი.

რელიგიური რწმენებისა და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე წარმოდგენების ჩამოყალიბების შედეგად, ზედა პალეოლითელმა ადამიანმა უკვე თავისი მიცვალებულების გარკვეული წესით დამარხვაც დაიწყო. თუმცა მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ მიცვალებულებს ადამიანი ზედა პალეოლითის ხანამდეც მარხავდა.

იმავდროულად ხელოვნებაც ჩაისახა, რაც თავდაპირველად რელიგიური საჭიროებებით იყო განპირობებული. მართლაც, უძველესი რელიგიური რიტუალები სხეულის რიტმული, თანმიმდევრული მოძრაობებით და ერთგვარი გახმოვანებით — „მუსიკალური თანხლებით“ სრულდებოდა, რამაც თანდათან საფუძველი ცეკვას და სიმღერას ჩაუყარა.

ზედა პალეოლითიდან მოდის მხატვრობაც. იმჟამინდელი ადამიანი პირველ რიგში ცხოველებს და ნადირობის სცენებს ხატავდა. ეს არცაა გასაკვირი, ნადირობა ხომ მისთვის საკვების მოპოვების ერთადერთი თუ არა, უმთავრესი წყარო იყო. ზედა პალეოლითელი ადამიანის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები შემოგვინახა პირინეის მთებისა და საჰარის უდაბნოს გამოქვაბულებმა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა **ალტამირას** (ესპანეთში) და **ლასკოს** (საფრანგეთში) გამოქვაბულების ფერწერა. კლდის მხატვრობა შემქმნელთა ყოველდღიური საქმიანობისა და რელიგიური რიტუალების სხვადასხვა დეტალს გვაცნობს. ნახატებში ყველაზე გავრცელებული თემა ნადირობაა; ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებაზე მეტად ნადირობის სცენის გამოხატვას მაგიური დატვირთვა ჰქონდა და ფრიად პრაგმატულ მიზანს ემსახურებოდა: რომელიმე განსაკუთრებულად წარმატებული ნადირობის აღბეჭდვით მაგიური ზემოქმედება, რათა მომავალ ნადირობაშიც მსგავსი წარმატებისათვის მიეღწიათ.

პალეოლითის ველური მონადირეები სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ცხოვრობდნენ. ნადირობის წარმატებაზე დამოკიდებული ცხოვრება დალხინებისა და შიმშილობის მთელ პერიოდებს მოიცავდა. უიღბლობის ჟამს უძლიერესთა გარდა ყველა იღუპებოდა, ხანგრძლივი შიმშილობის შემთხვევაში კი ტომი ან ადგილსამყოფელს იცვლიდა, ან სულაც ამოწყდებოდა.

მართლაც, როგორც წინარეისტორიული, ისე დღევანდელი ადამიანის გამორჩეული თვისება მისი მობილურობაა. პირველყოფილ ადამიანს საკვებისა თუ უკეთესი პირობების



ალტამირას გამოქვაბულის მხატვრობა. ესპანეთი. XVI-IX ათასი წელი ჩვ. წ. აღ-მდე.

საფრანგეთში, ლასკოს გამოქვაბულში 2000 ფიგურა 17 000 – 18 000 წლის წინაა დახატული.

ძიებისას უდიდესი მანძილების დაფარვაში თვითრეგულირებადი **მეტაბოლიზმი** (მაგ. ოფლის გამოყოფის უნარი) დაეხმარა.

მეტაბოლიზმი — ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლა.

დედამიწის სხვადასხვა რეგიონში მძიმე კლიმატური პირობების მიუხედავად, ზედა პალეოლითის ადამიანებმა მისი უდიდესი ნაწილი აითვისეს. მართლაც, პალეოლითის ეპოქის დასასრულისათვის, 10-12 ათასი წლის წინ, არქტიკიდან სამხრეთ აფრიკამდე და ავსტრალიიდან — **ტიერა დელ ფუეგომდე** არსებული ხმელეთი, თუმცა მეჩხრად, მაგრამ მაინც დასახლებულია. მოსახლეობის სიმჭიდროვე — არსებობის საშუალების, ანუ მისი ფლორისა და ფაუნის პროპორციული იყო. ამიტომაც ტროპიკული და სუბტროპიკული ზონები მოსახლეობის ბევრად უფრო მეტი სიმჭიდროვით გამოირჩეოდა. თუმცა, თანამედროვე სტანდარტებთან შედარებით, ეს რაოდენობაც დიდად ვერ ჩაითვლება. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, პალეოლითის დასასრულს ჰომო საპიენს-საპიენსის სახეობა მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, 20 მილიონის, ზოგის აზრით, — კი 10 მილიონის ფარგლებში მერყეობდა.

ტიერა დელ ფუეგო — ცეცხლოვანი მიწა, სამხრეთ ამერიკის კონტინენტის უკიდურესი სამხრეთით მდებარე არქიპელაგი.

<u>მეზოლითი</u>**.** დაახლ. 10 თუ 12 ათასი წლის წინ, უკანასკნელ კონტინენტურ მყინვართა ლღობამ უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული და კლიმატური ცვლილებები გამოიწვია — განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ამ მოვლენებმა გადამწყვეტი როლიც შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში. ჰავის დატენიანებას ბევრი იმ ძუძუმწოვრის გადაშენება მოჰყვა, რომლებიც გვიანი პალეოლითის დროის მონადირეთათვის საკვების მთავარ წყაროს წარმოადგენდა. გრძელბეწვა მამონტიცა და ბალნიანი მარტორქაც გაწყდა, ხოლო ცხენირმები ჩრდილოეთისაკენ, თავიანთი დღევანდელი საცხოვრისისაკენ დაიძრნენ. ჩრდილოეთი აფრიკა და ცენტრალური აზია კი მნიშვნელოვნად გაუდაბნოვდა, იქაური მაცხოვრებლებიც იძულებულნი გახდნენ, ადგილი შეეცვალათ და ცხოვრების ახალ წესსაც შეჰგუებოდნენ — და ეს მაშინ, როცა ალპების ჩრდილოეთით დაბურული ტყეები გაჩნდა, ხოლო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მთები და გორაკები მწვანით შეიმოსა.

ყინულის უკანდახევიდან 4-5 ათასწლეულის განმავლობაში, ასევე იჩინა თავი მნიშვნელოვანმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა — განსაკუთრებით, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში. ქვის იარაღები (ისევე როგორც ხელოვნებისა თუ საკულტო ნაკეთობები) უფრო და უფრო დახვეწილი გახდა. ქვის თლამ და დამუშავებამ ადრინდელი, მტვრევისა და წამახვილების მეთოდები შეცვალა.

უძველესი ადამიანის ისტორიაში მეზოლითი, უპირველეს ყოვლისა, მშვილდისრის გამოგონებითაა ცნობილი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ადამიანი საბოლოოდ გაბატონდა ცხოველთა სამყაროზე: ახლა მას შეეძლო შორი მანძილიდან განეგმირა თავისი მსხვერპლი.

<u>ნეოლითი</u>**.** დაახლოებით ძვ. წ. VIII-VII ათასწლეულებში მეზოლითის ეპოქა ნეოლითმა — ახალი ქვის ხანამ შეცვალა. ნეოლითი კაცობრიობის ისტორიაში ძირეული გარდატეხის ეპოქაა. ამ პერიოდს *ნეოლითურ რევოლუციასაც* უწოდებენ. ადამიანი შემგროვებელი და მიმთვისებელი არსებიდან მწარმოებელ არსებად გადაიქცა. ნეოლითის ხანაში ჩაეყარა

მეთუნეობა — თიხის ჭურჭლის დამზადება.

საფუძველი მიწათმოქმედებას და მეცხოველეობას. ამავე პერიოდში ადამიანი იწყებს კერვას, ქსოვას და **მეთუნეობას**.

რეგიონი, სადაც ნეოლითური ცივილიზაცია წარმოიშვა, თავდაპირველად, სავარაუდოდ, მახლობელი აღმოსავლეთი იყო. ითვლება, რომ მარცვლეულის თესვა ქალებმა თავდაპირველად თანამედროვე ჩრდილოეთ ერაყის თუ ქურთისტანის მთიანეთსა და სამხრეთ კავკასიაში დაიწყეს: ამ არეალში ბუნებრივად ხარობდა ხორბლისა და ფეტვის ველური წინაპარი.

მართლაც, საქართველო ხორბლეულის ერთ-ერთი სამშობლოა. დღეისათვის მსოფლიოში ხორბლეულის ცნობილი ცხრამეტი ჯიშიდან თორმეტი საქართველოშია დამოწმებული. აქედან ხუთი ჯიშის სამშობლოდ საქართველო ითვლება.

დროებით საცხოვრისში დატოვებული ქალები, ვიდრე მამაკაცები ახლომახლო მთებში ნადირობდნენ, სხვადასხვა მცენარეების თესლებს, ან მარცვლეულს აგროვებდნენ, ბოლოს კი მისი თესვაც დაიწყეს. ცხოველებიდან ადამიანმა, ეტყობა, პირველად ცხვარი და თხა მოაშინაურა (თუ არ ჩავთვლით ძაღლს, რომელიც, შესაძლოა, ჯერ კიდევ პალეოლითის ხანის მონადირეებმა მოაშინაურეს). ეს პროცესი დაახლოებით ძვ. წ. 8000, ან კიდევ უფრო მეტი წლის წინ დაიწყო. რაც შეეხება მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს, მისი მოშინაურება ძვ. წ. VI ათასწლეულის ფარგლებში ივარაუდება. უეჭველი კი ერთი რამაა: ძვ. წ. 6000 წლისათვის დასავლეთ ირანიდან ხმელთაშუა ზღვისპირეთამდე, სამხრეთ კავკასიაში, ანატოლიასა და ეგეოსის ზღვის ორივე სანაპიროზე უკვე დასტურდება განვითარებული მიწათმოქმედება, ხორბლეულისა და ფეტვის თესვა-მოყვანა და საშინაო მეურნეობაში ცხვრის, თხის, ღორისა და შესაძლოა, მსხვილფეხა რქოსნის არსებობა.

სწორედ წინა აზიიდან, რომლის გეოგრაფიულ საზღვრებში იმ ხანად სამხრეთ კავკასია და, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაც მოიაზრებოდა, გავრცელდა პირველი ცივილიზაცია თანდათანობით ეგვიპტის, ინდოეთის, ჩინეთის, დასავლეთ ევროპისა და ძველი სამყაროს სხვა რეგიონებში (თუმცა ისიც შესაძლებელია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ბრინჯის მოყვანა მახლობელ აღმოსავლეთში ხორბლის მოყვანის თანადროულადაც დაწყებულიყო). რაკიღა მიგრაციის ძირითადი ღერძი აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართულებით გადიოდა, ამა თუ იმ ადგილას მიღწეული წარმატება ამ ღერძის



ნეოლითის ხანის ხის პრიმიტიული მიწის დასამუშავებელი იარაღები (რეკონსტრუქცია)

ნეოლითური არტიფაქტები
ნეოლითის ნასახლარი ორკნეის კუნძულებზე, შოტლანდიაში. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი.

გასწვრივ, სხვაგანაც ინერგებოდა და ყოველი სიახლე როგორც დასავლეთით — ევროპისკენ, ისე შორეული აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებოდა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმოქმნა-განვითარებას კაცობრიობის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მომთაბარე შემგროვებელი და ველური მონადირე თანდათან მიწათმოქმედმა და მესაქონლემ შეცვალა. სოფლის მეურნეობის ამ უმთავრესი დარგების ათვისებამ ადამიანებს პირველად შესაძლებლობა მისცა, შედარებით მყარად მოეკიდათ ფეხი ამა თუ იმ საცხოვრისზე. ამ ფაქტმა კი მათ გარჯის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად, საშუალება მისცა, მატერიალური დოვლათი მარაგის სახით დაეგროვებინათ და მეტი დრო დაეთმოთ ისეთი განყენებული საქმიანობისათვის, როგორიც ხელოვნება და რელიგიაა. საკვებით მეტნაკლებად უზრუნველყოფამ ერთგვარი ფიზიკურ-ფსიქოლოგიური სტაბილურობის განცდა მოიტანა, როგორც პიროვნულ, ასევე საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ნეოლითურმა რევოლუციამ *ჰომო საპიენს საპიენსის* არსებობის საფუძვლები შეცვალა და ამით, შეიძლება ითქვას, თანამედროვე საკაცობრიო ცივილიზაციის ერთგვარ წინაპირობადაც კი იქცა.

სოფლის მეურნეობის განვითარებასა და მისი ნაყოფიერების ზრდასთან ერთად შემცირდა ნადირობის ეკონომიკური დატვირთვა, მაგრამ მას სიმბოლური ხასიათი არასოდეს დაუკარგავს — მონადირის გარდაქმნა მეომრად, შემდგომ კი უკვე მმართველად — ბუნებრივად მოხდა.

ყველაზე ადრეული ხანის მიწათმოქმედთა „გამოგონება“ უაღრესად მარტივი ხასიათისა გახლდათ: პირველი ასეთი იარაღი პრიმიტიული ნამგალი თუ სამკალი დანა, ხის ან ძვლის ტარზე წამოცმული კაჟის თლილი ნატეხი ან ნადირის წამახული ეშვი იყო. მას ჯერ ველური ბალახის სათიბად, საბოლოოდ კი კულტურული მარცვლეულის სამკალად ხმარობდნენ. პირველ სათეს იარაღებად კი წვეტიან კავებსა და უმარტივეს ხელის სახნისებს — ხის ტარზე წამოცმულ ნათალ ქვის პირებს იყენებდნენ. ამ ტიპის სოფლის მეურნეობას, რაც შემდგომში დედამიწის ბევრ კუთხეში გავრცელდა და დღემდეც არსებობს უკიდურესად ჩამორჩენილ რეგიონებში, ხშირად *სახნისის კულტურადაც* მოიხსენიებენ.

თანდათანობით, ასეთ უმარტივეს ნამგალს და სახნისს, მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობისათვის საჭირო, ახალ-ახალი ხელსაწყო-იარაღები დაემატა. ასევე გამრავალფეროვნდა მარცვლეულის ჯიშები.

ზოგადად, სოფლების წარმოშობამ და მუდმივი საცხოვრისის გაჩენამ შრომის ასაკისა და სქესის მიხედვით დანაწილებასთან ერთად პროფესიული დაოსტატების მიხედვით დანაწილებაც გახადა შესაძლებელი, რაც თავის მხრივ, მეტ დახელოვნებასა და ტექნოლოგიურ პროგრესს უწყობდა ხელს. ცნობილია, რომ საქმიანობის ერთი სფეროს განვითარება სხვა სფეროების განვითარებასაც განაპირობებს.

ასე მაგალითად, როდესაც მომთაბარული ცხოვრების მიმდევარი ხალხი ამა თუ იმ ადგილას მუდმივად სახლდებოდა, მომთაბარეობის ხანის დროებით საცხოვრისს — ტყავებითა თუ ტოტებით შეკრულ კარავს — უფრო მუდმივი და მოხერხებული სამყოფელით ცვლიდა: თავიდან მიწური სახლებით, შემდეგ — ფიცრულით, საბოლოოდ კი — როგორც ეს ძვე-

ალიზი — საშენი მასალა; გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი აგური. ალიზი მზადდება ხელით ან ყალიბით თიხისაგან. ახალი ქვის ხანიდან ალიზი განსაკუთრებით გავრცელდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. საქართველოში ალიზის ნაგებობანი ცნობილია ძვ. წ. VI-IV ათასწლეულიდან (შულავრის გორა, არუხლოს გორა და სხვ.).

ლი აღმოსავლეთის ქვეყნებში მოხდა — **ალიზის**, აგურის ან ქვის შენობებითაც.

საშენ მასალად ალიზის, თუ აგურის აუცილებლობამ თიხაზე მოთხოვნილებაც გააჩინა, თიხის წარმოებამ კი მისგან ჭურჭლის დამზადებას დაუდო სათავე. ასე ჩაეყარა საფუძველი მეთუნეობას, ანუ კერამიკულ წარმოებას. ნეოლითური ხანის ადამიანი თიხის ნაწარმს არა მარტო საოჯახო, არამედ საკულტო დანიშნულებისთვის და იმავდროულად სამკაულადაც იყენებდა.

მეთუნეობის პარალელურად, ან უფრო ადრეც კი, ადამიანმა კალათების დაწვნა დაიწყო. ამას კი მალე ძაფის დართვა და ქსოვილების ხელით ქსოვა მოჰყვა.

პირველი ქსოვილი, რომლის წარმოებაც ადამიანმა დაახლოებით ძვ. წ. VI-V ათასწლეულების მიჯნაზე დაიწყო, ტილო იყო, რაც იმის მანიშნებელია, რომ უკვე სელიც მოჰყავდათ.

ზუსტი ცნობები იმის თაობაზე, რომ ნეოლითის ხანაში შალის ქსოვილსაც აწარმოებდნენ, არ არსებობს. თუმცა, თავისთავად ცხვრისა და თხის მოშინაურება ადრეულ ეტაპზე და თანაც, ტილოს ქსოვილის წარმოებასთან შედარებით, შალის ქსოვილის დამზადების სიმარტივე, გვაფიქრებინებს, რომ შალის ქსოვილის წარმოება ტილოზე ადრე უნდა გაჩენილიყო და რომ ნეოლითის ადამიანისათვის შესამოსად ცხოველის ბეწვისა და ტყავის ადგილი სწორედ შალის ქსოვილს უნდა დაეკავებინა.

ადრე მიაჩნდათ, რომ პირველი ქალაქები მხოლოდ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა წლებში ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობასთან ერთად გაჩნდა. თუმცა, ბოლოდროინდელმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ისეთი სათემო საცხოვრისების არსებობაც დაადასტურა, რომლებიც სტრუქტურული თვალსაზრისით სოფლებისაგან ძირფესვიანად განსხვავდება. ისინი, სამართლიანად შეიძლება, პირველ ქალაქებადაც ჩაითვალოს. ასეთია, მაგალითად, პალესტინაში — ***იერიქონში*** გათხრილი, სავარაუდოდ, მსოფლიოში უძველესი ქალაქი-დასახლება, რომელიც ფუნქციონირებას ძვ. წ. 8000 წ-ის ახლო ხანებიდან იწყებს. საინტერესოა, რომ ძვ. წ. 7000 წლისათვის მისთვის მასიური ქვის კედელიც შემოურტყამთ.

იერიქონი მდებარეობს მდ. იორდანიის დასავლეთ ნაპირზე, ქალაქ იერუსალიმიდან 40 კმ-ის დაშორებით. ამ დასახლების არქეოლოგიური გათხრები 1907 წ.ელს დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება.

მცირე აზიაში, თურქეთის ტერიტორიაზე (**ჩათალ-ჰუიუკში**) გაითხარა ძვ. წ. VII ათასწლეულის შუა ხანებით, ანუ ნეოლითური ხანით დათარიღებული დასახლება, რომელშიც ერთნაირი აგებულების, მიჯრით, ალიზითა და ასევე, ერთნაირი ზომის გამომწვარი აგურით ნაშენი სახლების კვალია დარჩენილი, რაც თავისთავად, კარგად ორგანიზებულ შრომის დანაწილებაზე მიუთითებს. აქ ნაპოვნი იარაღების უმეტესობა ობსიდიანისაგანაა ნაკეთები, რომელსაც თითქმის 100 კმ-ით დაშორებული ვულკანური წარმოშობის საბადოდან ეზიდებოდნენ. ეს ისეთი ოდენობით მუშახელსა და შრომის ორგანიზებას მოითხოვდა, რომელიც ჩვეულებრივი სოფლის მოსახლეობის ძალებს აღემატებოდა.

სხვა მსგავსი ტიპის ქალაქების კვალი ნაპოვნია ეგეოსის ზღვის არეალში და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ადგილას. ეს უდავოს ხდის იმას, რომ სხვა, ჯერაც აღმოუჩენელი, ქალაქის ტიპის დასახლებები ჯერ კიდევ შუამდინარეთისა და ეგვიპტის

დიდი ცივილიზაციების ჩასახვამდე ბევრად უფრო ადრეც უნდა არსებულიყო.

ეს უძველესი ქალაქური დასახლებები ირგვლივ განსახლებული მიწათმოქმედი თემებისათვის თავისებურ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათი არსებობა ეკონომიკის გაცილებით უფრო რთულ ორგანიზაციულ წყობას ადასტურებს, ვიდრე ეს აქამდე მიაჩნდათ შესაძლებლად იმ ეპოქისათვის.

ნეოლითი მატრიარქალური გვარის გაფურჩქვნის პერიოდი, შეიძლება ითქვას, მატრიარქატის *ოქროს ხანაა.* ამავე დროს, ნეოლითის ეპოქის დასრულებასთან ერთად მატრიარქატის ხანაც მთავრდება. მართლაც, ლითონის ტექნოლოგიის ათვისებით პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში ახალი, პატრიარქალური გვარის პერიოდი იწყება.

ენეოლითი. პირველი ლითონი, რომელიც ადამიანმა გამოიყენა სპილენძი იყო. სპილენძი შენარევების გარეშე რბილი ლითონია. მან ვერ გამოაძევა ხმარებიდან ქვის იარაღი, ამიტომ საზოგადოების ისტორიის ამ ხანას სპილენძ-ქვის ხანას, ანუ ენეოლითს უწოდებენ. ენეოლითი გარდამავალი საფეხურია ქვის ეპოქიდან ლითონის ეპოქაზე. ამიტომაცაა, რომ მას მეცნიერები ხშირად დამოუკიდებელ ისტორიულ ხანად არცკი მიიჩნევენ. მათი ერთი ნაწილი ენეოლითს ბრინჯაოს ეპოქის საწყის ეტაპად, სხვები კი ნეოლითის ბოლო საფეხურად განიხილავენ.

ენეოს — ლათინურად სპილენძს აღნიშნავს, *ლითოს* კი ქვას.

საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის იმ მოწინავე რეგიონში შემავალი ქვეყანაა, სადაც ენეოლითიც ფრიად ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში დაიწყო და ასევე, ძალზე ადრე ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევარში დასრულდა, ადგილი დაუთმო რა ბრინჯაოს მეტალურგიას.

საქართველოს დაწინაურებას, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა სპილენძის საბადოების არსებობა. სპილენძი მოიპოვებოდა მახლობელი აღმოსავლეთის მრავალ რეგიონში: აღმოსავლეთ ანატოლიის მთებში, კუნძულ კვიპროსზე, ჩრდილოეთ ირანში, ასევე სამხრეთ კავკასიაში. თავდაპირველად, შესაძლოა, სპილენძი სულაც შემთხვევით აღმოეჩინათ მეთუნეებს, რომლებიც სპილენძის მჟავის ნაჟონს საკუთარი კერამიკული ნაწარმის მოსახატად იყენებდნენ და

ჩათალ-ჰუიუკი მდებარეობს სამხრეთ ანატოლიაში, თურქეთის ქ. კონიიდან 50 კმ-ის დაშორებით. არქეოლოგიური გათხრები 1961 წელს დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება.



იერიქონის უძველესი ნაქალაქარი
ძვ წ. VIII-VII ათასწლ.